№575 2016 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის მიერ განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ - საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრს მიეცეს თანხმობა, რომ თავის ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) ერთეული ძიუდოს ტატამი (საწყისი საბალანსო ღირებულება - 14 000 (თოთხმეტი ათასი) ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 5 600 (ხუთი ათას ექვსასი) ლარი) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას (ს/ნ: 204889282).

2. ამ განკარგულების შესრულების უზრუნველსაყოფად, სსიპ - საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულმა ცენტრმა განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**